

## „THE KNIGHT IN THE PANTHER’S SKIN”-INSTRUMENT OF 20<sup>TH</sup> CENTURY’S INFORMATION WARFARE’

### „ვეფხისტყაოსანი”- მე-20 საუკუნის საინფორმაციო ომის იარაღი “

ნატალია პატარკაცაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, III კურსის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტი.

Natalia Patarkatsasvhili Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Journalism\_Junior;

ანი დეკანოსიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, III კურსის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტი.

Ani Dekanosidze Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Journalism\_Junior;

**ანოტაცია:** 21-ე საუკუნის მთავარ „მონაპოვრად” თანამედროვე მსოფლიო სწორედ საინფორმაციო ომს მიიჩნევს. თუმცა ცოტამ თუ იცის, რომ სტალინი, ჯერ კიდევ ამ ტერმინის დანიშნულების გაგებამდე, აქტიურად იყენებდა სასურველი ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა ტექნიკებს, მათ შორის ხელოვნებას და ამ გზით, არაერთი საინფორმაციო ომის მოგებას შეძლო. ამდენად, ვფიქრობთ, რომ საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება „დიდი ბელადის” ფარული გეგმების და მისი პროპაგანდისტული მანქანის მოუშაობის სქემის გაცნობა.

**Annotation:** The modern world considers information warfare as the „achievement” of 21<sup>st</sup> century, but little the world knows, that Stalin, before this word was even used, was spreading his „own” information by different technics, he was even using an art and by this way was winning different wars. So, we think, that finding out new information about Stalin’s plans and propagandistic machines will be interesting for society.

**საკვანძო სიტყვები:** საინფორმაციო ომი, ხელოვნება, სტალინი, „ვეფხისტყაოსანი”, პროპაგანდა, მე-20 საუკუნე.

„ვეფხისტყაოსნის” ღირებულებითი არსებობის მომავალი თაობებისათვის გადაცემა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ჭადრაკში შაიკისთვის დაფის ბოლოში გასვლა, იმისათვის რომ აღსდგეს როგორც ძლიერი, სასურველი და მნიშვნელოვანი ფიგურა. ამის მისაღწევად კი საჭიროა მოთამაშემ კარგად იცოდეს თამაშის წესები, როგორც ჩანს, თამაშის ამ წესებს საოცრად ფლობდა დიდი ბელადი, მასაც ხომ იგივე მიზანი ჰქონდა! საკუთარი სახელის რესტავრაცია, გაძლიერება და თამაშის მთავარ მოქმედ ფიგურად

გადაქცევა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, არამედ მთელს მსოფლიოში, მან კი ამისთვის ყველაზე ჭკვიანურ გზას, ხელოვნებას მიმართა, დროსაც გაუსწრო და 21-ე საუკუნის მონაპოვარი-საინფორმაციო ომი გამოიყენა.

საკუთარი სახელისა და ვინაობის უკვდავსაყოფად სტალინმა სწორედ ხელოვნების დიდი ნიმუშის, მეთორმეტე საუკუნეში შექმნილი, ქართველი ერისთვის ღირებულებითი, მხატრული თუ შინაარსობრივი მნიშვნელობის განძის, „ვეფხისტყაოსნის“ გამოყენება გადაწყვიტა. 1941 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა შალვა ნუცუბიძის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ სრული, პოეტური რუსული თარგმანი. ეს ერთობ ჩვეულებრივი ფაქტია, რომელშიც არც სტალინის სახელი ფიგურირებს და შესაბამისად არც მისი მიზნები, მაგრამ ამ ფაქტს „არაჩვეულებრივს“ ის საარქივო დოკუმენტები, მიმონწერები თუ მოგონებები ხდის, რომლის გაცნობის საშუალებასაც თამარ ბელაქანიას წიგნი „სტალინური კულტურა!“ გვაძლევს. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ფაქტის უკან დიდი პოლიტიკური მიზნები, საოცრად და შეფარვით განხორციელებული პროპაგანდა და დიდი ბელადის მრავალმხრივი ნიჭიერება იმალება განხორციელებული საინფორმაციო ომის საშუალებით.

მისი მიზანი მარტივი იყო, ომის მოსაგებად სასურველი ინფორმაციის გავრცელება, რათა მსოფლიოს დაენახა და დარწმუნებულიყო, რომ დიდი ბელადი უდიდესი ცივილიზაციისა და კულტურის მქონე ქვეყნის შვილი იყო, რაც ყველანაირ კითხვის ნიშანს გააქრობდა მისი წარმოშობისა და ვინაობის შესახებ. მიზანი მიიღწა, მაგრამ როგორ?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსანი“ ფილოსოფოსმა, ლიტერატურათმცოდნე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, მთარგმნელმა და საზოგადო მოღვაწე შალვა ნუცუბიძემ თარგმნა, თარგმნის შესახებ დეტალებს სწორედ მის მიერ, 27 წლის შემდეგ დაწერილი წერილიდან ვიგებთ. მისი დაკავება საკმაოდ საეჭვო გარემოებებში მომხდარა, დაკავებიდან გარკვეული დროის შემდეგ კი, სტალინს მისთვის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა დროის კონკრეტულ ვადაში მოუთხოვია. წერილიდანვე ვიგებთ, რომ ყოველ შაბათს მისი თარგმანები მიჰქონდათ და უკან შესწორებული ვარიანტები ბრუნდებოდა არც მეტი, არც ნაკლები დიდი ბელადის მიერ, აქ უკვე იკვეთება სტალინის დიდი ინტერესი ამ წიგნის მიმართ და ფაქტი, რომ ის უშუალოდ იღებს მონაწილეობას პოემის თარგმნაში. ერთობ მნიშვნელოვანი ფაქტიც უნდა აღვნიშნოთ, სტალინის მიერ ბერძნულთა ნათქვამ სიტყვებში, რომ ისევე არ არსებობს გალიაში მომღერალი შაშვი, როგორც კამერაში მომღერალი მგოსანი, და რომ რუსთაველის თარგმანის მისაღებად საჭირო იყო მგოსნის (ნუცუბიძის) გაშვება, წარმოდგენას გვიქმნის სტალინის, როგორც ხელოვნების არსის მცოდნეს შესახებ, მან კარგად იცის, რომ ღირებული, ფასეული ხელოვნება მხოლოდ თავისუფლების წიაღში იქმნება და სწორედ ხელოვნების საშუალებითაა შესაძლებელი მთავარი საინფორმაციო ომის მოგება.

ნუცუბიძემ თარგმნა დაასრულა, ნაშრომი კი სტალინის მაგიდაზე დასრულებისთანავე აღმოჩნდა. ბელადს მიზნის ძირითად ნაწილი უკვე ჰქონდა, ახლა მნიშვნელოვანი ინფორმაციული ხასიათის დეტალები იყო, რომელზე მუშაობაც, რა თქმა უნდა, საკუთარ თავზე აიღო, სატიტულო ფურცლის ტექსტი ჩაასწორა- „Перевод Шалвы

Нусубидзе „Перевод с грузинского Шалва Нусубидзе“-თი შეცვალა, სადაც საქართველოს ფიგურირებას პირველივე ფურცელზე გაუსვა ხაზი, პოემის სახელწოდების თარგმანიც საკუთარი ვერსიით შეცვალა და საბოლოოდ-„Витязь в тигровой шкуре“ დააწერა. მის მიერ წიგნის კონცეფციის არსებობას ადასტურებს ისიც, რომ თავად ბელადმა განსაზღვრა ყდის დიზაინი, ორნამენტები, აბზაცები, სიტყვების წყობა და მიიღო თამბაქოსფერი, ხავერდოვანი ქსოვილის ორნამენტებით შემოსაზღვრული, შუაგულში შავ ფონზე რუსთაველის პორტრეტიანი ყდა. სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულებული იყო, მაგრამ წინ მნიშვნელოვანი ეტაპი-ილუსტრირება იდგა. სტალინმა კარგად იცოდა, რომ ილუსტრაცია ყოველთვის ამდიდრებდა წაკითხულის შთაბეჭდილებას და ამიტომ მან ამაზეც იზრუნა. ცნობილია, რომ ბელადმა უპირატესობა უნგრელ ფერმწერსა და გრაფიკოსს მიხაილ ზიჩს მიანიჭა, ალბათ თვლიდა რომ ევროპა ევროპელის ნაშრომს უკეთესად აღიქვამდა, ეს ხომ მასათა დიდ ფენებზე, მათ შორის ევროპაზეც იყო გათვლილი. სტალინს მსოფლიოსთან გაჩაღებული ომი ყველაძე ძლიერი იარაღით, ინფორმაციით უნდა მოეგა, ამდენად უმნიშვნელოვანესი იყო ის ყველა გზავნილი, რომელსაც წიგნი მკითველს აწვდიდა. დიდი ბელადი მხოლოდ მხატვრების შერჩევით როდი შემოიფარგლა, ის თითოეულ ილუსტრაციას გაეცნო და თავისი შენიშვნები ლურჯი ფანქრითაც კი მიანერა, რაც, რა თქმა უნდა, უსიტყვოდ დაკმაყოფილდა და საბოლოო სახეც სწორედ მისი სურვილებისა და შენიშვნების გათვალისწინებით მიიღო. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი, რასაც ნუცუბიძის წერილიდან ვიგებთ ისაა, რომ სტალინს არ სურდა საკუთარი სახელის სადმე, რაიმე ფორმით დაფიქსირება, რაც პირდაპირი მითითება იყო დიდი ბელადის. ნუცუბიძე ამავე წერილში თავის მოსაზრებას აფიქსირებს, რომ ბელადის ეს საქციელი მის მოკრძალებულობაზე მიუთითებდა და მას ზედმეტი დიდების მოხვეჭა აღარ სჭირდებოდა. სწორედ აქ ვლინდება სტალინის გეგმის წარმატების პირველი ნიშნები, მან საკუთარი სახელის ფიგურირების გარეშე შეძლო ფარული პიარის მექანიზმის ეფექტური ამუშავება, თავმდაბალი ბელადის სახელის რესტავრაცია ნუცუბიძის საშუალებით უპირველესად საქართველოში იწყებოდა. დიდი ბელადი ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ ერთობ მნიშვნელოვანი წიგნით შეძლებდა მკითხველის საკუთარი ინტერესებით მართვასა და მისთვის საჭირო ინფორმაციის ადრესატამდე ეფექტური გზით მიტანას. მან შეძლო კულტურული ძეგლის ინფორმაციულ იარაღად გადაქცევა.

„ვეფხისტყაოსნის“ საქმეში კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი პირის ფიგურირება იკვეთება, რომლის შესახებაც ინფორმაციას არქივში დაცული დოკუმენტებიდან ვიგებთ, ესაა გამორჩეული ბოლშევიკი და სტალინის მეგობარი, სერგო ქავთარაძე, რომლისთვისაც ბელადს „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობის შესახებ ნარკვევის დაწერა დაუვალებია. ქავთარაძე დაწვრილებით აღწერს და საუბრობს არა მხოლოდ პოემის ესთეტიკურ, მხატვრულ თუ შინაარსობრივ ღირებულებაზე, არამედ ეპოქაზე და ეპოქაში მიმდინარე რენესანსულ, პროგრესულ იდეებსა და პროცესებზე. ის „ვეფხისტყაოსნის“ განიხილავს როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა „ერთიერთქმედების პროდუქტს“, რომელიც მოიცავს ისეთ მაღალ ღირებულებით თემებს როგორიცებიცაა მეგობრობა, ქალის კულტი, სიყვარული, ჰუმანიზმი. საბოლოოდ, სერგო ქავთარაძის ნაშრომი ზუსტად

ემსახურება მიზანს, ესაა ბოლშევიკის მიერ, ობიექტურად დაწერილი ნარკვევი რომელიც მკითველში იწვევს აღტაცებასა და დიდ პატივისცემას არა მხოლოდ პოემის, არამედ იმ ეპოქის და ზოგადად ქვეყნის მიმართ სადაც ის შეიქმნა.

საბოლოოდ წიგნი ქვეყნდება, პროპაგანდისტული მექანიზმი მუშაობს, დიდი ბელადი მიზანს აღწევს და მისი სახელი სისხლიანი თუ ოქროს ასოებით მიანც იწვევს ისტორიის უკვდავ ფურცლებზე.

საინფორმაციო ომი სტალინის სასარგებლოდ სრულდება, მსოფლიოს ბელადის სასურველი ინფორმაცია ჩუმად და შეფარვით, თუმცა ეფექტურად მიწოდება. პროპაგანდისტული მანქანაც მუშაობს, ერთი საუკნით ადრე სტალინი ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე ძლიერ ფენომენს- საინფორმაციო ომს სათავეს იყენებს და მსოფლიოს თავს „დიდ ბელადად“ სთავაზობს.

### **ბიბლიოგრაფია**

- თამარ ბელქანია - „სტალინური კულტურა!“
- შსს-ის არქივში დაცული დოკუმენტური მასალა